კვირა, 19 თებერვალი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშეკილ მარტალი

№ 8

1917

შინაარსი. პასუხი მეგობაროს — ქაქიჩ ტაბუკ-ლურ-ლუმის ძირელი. პატარა ფელეტონი — **როკოკო.** შარჟები და პაროდიები — **თარაში.** ვედრება ფოთელი მოქალაქისა — **ბელაძე.** დეპეშები. სააქროვო სტუდენტური სიმღერა — **ქ.** ერთი დღიურიდან — **ხუნაგი.** ცხრაას ხუთი გაძახსენება — **დია.** მკვეხერა — **ხ. გარდოშგილი** ინტერნაციონალური ალებ-მიცემობა — **ძამია.** წერილები რედაქციის მიმართ.

კარიკატურები: ყვითელი მელანი. ფუტურისტული. შრომის იდეალი. დასაჯილი.

„დიმიტრი ჯაშმა გამოიგონა ახალი მელანი სოსანის ფერისა" (გაზეთებიდან).

ყველა თავისას ჩიოდა...



გრ. ლალიძე. ახირებულია ამ ხალხის საქმე! ერთმა გამოიგონა ლურჯი, მეორემ სოსანის ფერი... ყვითელ მელანზე აღარავინ ზრუნავს, თითქო ჩემი გაზეთი არც არსებობდეს ქვეყანაზე.

მეჯიკაძე. შეენთვის ჩვენ ვიგონებთ, მეგობარო. ყვითელი იქნება და „სპირიდონია" ერქმევა.

პასუხი მეგობარს

სიამით მოსაგონარო და ტკბილათ დასაბერებელო ძვირფასო ძმაო

ბეკო!

ისე გაანათლოს უფალმა შენი სული და გაახაროს შენი გული, როგორი სინათლე და სიხარულიც შენმა წერილმა ჩემს ოჯახში შემოიტანა. ნეტავი რას ეამბობ!.. განა მარტო ჩემს ოჯახში? აბა სადაურია! ყველა ჩვენი მეზობლები და ნაცნობები ცამდე აიყვანა შენმა წერილმა, საყვარელო ძმაო ბეკო. მე მგონია, ორი გირვანქა შაქარი ვერ შეიტანდა ჩვენს გულში იმდენ სიტკბოსა და სიხარულს, რაიც მოგვანიჭა შენმა ერთმა წერილმა.

„ტკბილი სიტყვა გულში ჩადის,
ტკბილ საჭმელებს კუჭში ვყრითო,
კაცის ხასიათმა იცის
ვის რა მოსწონს ამა ორში“.

ასე დაუწერია ჩვენი ზურაბა ზურგიელიძის ბიჭს, სოლომონას და ძალიან მეჭაშნიკა შენმა გაზრდამ. მართლაც, შაქარს შეჭამ, აღარ დაგაჩდება, ტკბილი სიტყვა ისე ჩაგაჯდება კისერში, რავარც სოფლის მევახშე და ვერ მოიშორებ. საჭმელი რაა... რომ არ მოგშორდეს დროზე, არც ვარგა.

კაცი გამეილია სოფელში, ბეკო ჩემო, კაცი და ჭკუა ჩახედული კაცი ხომ უწინაც სანთლით საძებარი იყო. ჩახედული კაცის ხელში კი, ჩემო ბეკო, ყველაფერი გასაგები და მისახვედრია. ჩემი დედაბერი კინაღამ ატირდა, როცა შენს წერილში შენ ჩვენ ჭაკს შეეხე. ყმაწვილო, მე იგი ჯახრიკა ისე, ჩვენი გასაჭირის ასანუსხავათ მოვიხსენიე და რა ვიცოდი, თუ მას ამდენი მნიშვნელობა და საფუძველი ჰქონდა! მარა როცა შენ მცირე ხნით შეჩერდი მასზე და გაგვიმარტე რაშია საქმე, ახლა ყველამ გაიგო საქმის ვითარება. ბარემ გავათავოთ მისი ისტორია. ვეზდის პრისუსტვიამ ჯერ მოიწონა, მარა მერე წინა მარცხენა ფეხის მუხლის თავში რაღაც 25 მანეთიანის სიფართე დამწვარი ტყავი ამოაჩდა, დაბრაკეს და დამიბრუნეს. ავათმყოფი ან მე რაღათ მინდოდა და ერთ წითელ ბილეთიან მებარგე ბიჭს მივყიდე ოცდა ათ თუმნათ. ის ბიჭი საცხა სარაყამიშიდან ბარგს აზიდვიებდა ჯარიზა და მეორე მგზავრობაზე ქე შემოაკვდა თურმე ერთ პრაპორშჩიკს. ასე გათავდა იმისი ტანჯული ცხოვრება ჩემო ბეკო.

ჩვენი დათიეს ბიჭი, ყარამანა, კი გეხსომება. მგონია ისტორიკული კაცია. ამ თორმეტი წლის წინათ გლახუნა ჩხაპუტაიშვილს სახლი რომ დაუწვა და შიგ გამოხრუკა საწყალი დედაბერი აღათი. მაშინ ხალხმა გაასამართლა და გაძევება მიუსაჯა. იმის უწინაც მას არა ერთი და ორი სიგლახე უქნია. იგი არ იყო თემურაზა კიტრაძის ძროხას მტრობით კუდი რომ მიაჭრა? ახლა ქვეყანამ იცის აგი. ფილიპე მწყერაძის საგანგებო მწევარს თურმე იმან გადაასხა მდუღარე და გაფუფქა ისე საშინლათ. მანვე მოჰპარა ერემია ჩალაძეს მისი გავარდნილი თოხარიკი ცხენი, აფხაზეთში უნდოდა გაეყვანა და როცა გზაში წამოეწიენ სად-

ღაც ხრამში გადასჩეხა და დაამტვრია. რომელი ერთი გაგახსენო, ჩემო ბეკო, კაცის ენა ვერ იტყვის იმფერ სიავეს მას რომ წილი არ ედოს შიგ. შვიდიოდ წლის წინეთაც შეუყენა სოფელმა პრიგავორი, მარა სტრაჟნიკათ შესვლა მოახერხა და იმას აბრალებდენ დავით ბრიკაძის მოკვლას.

ახლა არ იკითხავ, ჩემო ბეკო, რისთვის მოგიყევი ამ ისტორიას? იმისთვის ჩემო ძმაო, რომ ორი სამი წლის წინახავი ყარამანა ისევ ჩვენს სოფელს დაუბრუნდა, მარა იგი უკვე ყარამან დათიევიჩია. საცხა თივის ყიდვა ჰქონია აღებული და მილიონის ფული ეშონია. მთელი სოფელი ახლა იმაზე ლაპარაკობს. სოფლის კლასს 60 მანეთი შესწირა. საყდარს ერთი სასანთლე უყიდა 100 მანათიანი; ჩვენს ბიბლიოტექას გაზეთი „მეგობარი“ გამუუწერა და კიდევ რა ვიცი რა. ერთ ნახატებიან ჟურნალში დახატულიც კი იყო! ქვეშ ეწერა: „ცნობილი ქართველი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწეა ზნაური **ყარამან დათას ძე ნაცარაძე**“ო. ასე გაკეთდა, ძმაო, აი ბიჭი სულ რაღაც წელიწად ნახევარში.

მარა განა მარტო ყარამანას ეწია ასეთი ბედი? ახლა შონის დროია ჩემო ბეკო და მოაქვს ყველას, ვისაც წაღება შეუძლია. ნეტავი შენ თუ შოულობ რამეს, ჩემო ბეკო; რამე იჯარას რავა ვერ გადაეყარე შე ოჯახ აშენებულო. ქვეყნის ჭკუა შენ გაქ და აქ იმფერი ხალხი მდიდრდება, რომ ორ ბატს არავინ მიაბარებს.

ასე და ამა პირსა ზედა ქვეყნისასა, ჩემო საყვარელო და მარად ჟამს მოსაგონარო ბეკო! მეც კი ვატყობ დიდი ამბები რომ ხდება. ისე გავიდა ეს ყველიერიც რომ „**ბერიკობა**“ არ მინახავს. დღეს, ე. ი. როცა ამ ბარათს გწერ „შავი ორშაბათია“, ანუ როგორც მოგეხსენება, „**ყეენობა**“ დღეა. სადღაა ძველი დრო ჩემო ძვირფასო! გახსოვს ყეენობა დღეს რა ამბავი ჰქონდა ჩვენს სოფელს? დათია მოზვერაძეს რო მოვრთავდით ყეენათ და დიდის ზეიმით გამოვიყვანდით ოტლოპუზას გალმა დიდ მინდორზე. კაკლის ხის ქვეშ რომ დაუდგამდით ტახტს და იმართებოდა ჭიდაობა. ეჰ, რამდენი ტკბილი მოგონებაა, ბეკო ჩემო, ჩვენი ახალგაზრდობის არქივში!

ახლა ისე გამწვავდა ქართველ და თურქ ნაციონალისტთა შორის დამოკიდებულება, რომ „ყეენობა“ და „ბერიკაობა“ კი არა, ვგონებ უფრო ახლო დროინდელი ტკბილ მოსაგონარი დაივიწყონ. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ამ ჩემ წერილში სულ სხვა რამეს დაინახავ, როგორც უფრო ჩახედული კაცი, მაგრამ რა ვქნა, გული მიმიწევს ყველაფერზე ისე გელაპარაკო, რავარც მე მესმის და ქაღალდი რომ დაიტევდეს, მგონი ველარც გავათავებდი წერას. ვინ იცის როდის მომასწრებს ღმერთი შენი საპასუხო წერილის წაკითხვა. ქვეყნის საქმე კისერზე გაწევს და როგორ მომიბრუნდება ენა გისაყვედურო პასუხის დაგვიანება.

ბევრი გვასიამოვნა, ბეკო ჩემო, შენი წერილის იმ ადგილმაც, სადაც წერილების მიღებ-მოღებაზე იწერები. მართლაც ასეა შენმა მზემ... ყოველთვის ეწერა ჩემს წერილებს... „**გადასინჯულიაო**“, მაგრამ მე მეგონა ამას ჩემი დედაბერი შვებოდა. ვფიქრობდი: შეიძლება ეჭვი აქვს ჩემს მისდამი ერთგულებაში, (რაღა დროს ჩვენი ამაზე ლაპარაკია!) ან იქნება არ უნდა სამწუხარო მონაწერი ამბით ჩემი მშვიდობიანობა დაარღვიოს და ამიტომ შლის წერილებში ზოგიერთ უსიამოვნო ამბებს მეთქი. ახლა კი საგონებელში ჩავვარდი! ბეკო ჩემო, მაშ ვინ მიწევს ასეთ მზრუნველობას რომ არ ვიცი? თუ შენს წერილებსაც ასეთი დღე ადგია, სჩანს ვინმე საერთო შეგობარი გვყოლია. იყავი ყოჩაღათ და დღეგრძელობით უკუნითი უკუნისადმე.

შენი მოსიყვარულე და მარად შენი ნახვის და შენთან ტკბილათ საუბრის მონატრული, შენი ძმა და მეგობარი

ძაძიჩ ტაბუკ-ლურლუმისძირელი.

პატარა ფელეტონი

ორეული შემოსული ორიდან გასული

მე მეარღნე გეახელი, ვქეიფობდი ძმა ბიჭებში,
„ლოთობის“ და თამადობის პროფესორი იჯდა ჩემში.
და როდესაც ხალხს მოედვა ერთობის და ძმობის მცნება,
მეც ფეხის ხმას ავედევნე, ამეშალა მეც ოცნება.
დავდიოდი საქაქანოდ, ქალაქიდან სოფელშიდა,
და ქვეყანას ვარწმუნებდი: მათი ჭირი მე მეზიდა,
მაგრამ როცა მოევლინა მცნებას რისხვა

და იმ მცნების მისწრაფება ჩემში ჩაქრა, მიილულა,
ცხოვრებამაც პანღური მკრა მომაყუდეს გულზე ლულა.
დამებადა სულ სხვა აზრი, ჭეშმარიტი, არა მცდარი,
რომ არ იყო ჩემი საქმე წამების და ვნების ჯვარი.
გავძვერი და გამოვძვერი, ჯაშუშობა ვიწყე ჩუმი.
კუჭიც კარგათ გამოვიძღე, ტანთ ჩავიცვი აბრეშუმი.
ან კი უფრო ხელსაყრელი, აბა სხა რა მომეგონა?!.

—

როცა ძაღლი პატრონს ვერ სცნობს, აირევა მონასტერი,
და ერთმანეთს ეკვეთება მოყვრები, თუ მტერსა მტერი;
ამ დროს ფრთხილი მონადირე, ბადეს უგებს იჭერს ღლავებს,
(და თვით ქურდი ვეზირები ნადავლს უხვად იღლიავებს.)
მეც დავძრწივარ... ამ ცხოვრებამ გამოაწრთო ჩემი ჭკუა,
დღეს სუკის ბწვადს ვეძალები, წინეთ მაკლდა მჭადის ყუა.
აქეთ გავძვერ, იქით გავძვერ, გამოვაბი ხრიკზე ხრიკი.
და ჰა, გავხდი ბათუმს იქით, მე ცნობილი რიადჩიკი.
მუშა მომყავს მოტყუებით და ცხრა კეცს რომ გავაძროს ტყავს,
შემდეგ პანღურ ანაკრავი სადაც მინდა იქით დამყავს;
ფულის ქისა გაიტენა, კიდევ მინდა მეტის შონა;
მეც იუდას მემკვიდრე ვარ, ვერცხლისა და ოქროს მონა...

—

ქალაქში, რომ ჩამოვდივარ გავივლი და გამოვივლი,
ყველა „ზედმეტ ჭკუას“ მიქებს, და გზები მაქვს ყველგან ხსნილი.
აი, ტლზებს რომ უძახით, (მუცელ დიდა ფაშიანებს)
ყოველ ღამე მათთან „კლუბში“ გადავდივარ ასიანებს.
ქურდობამ და თაღლითობამ მომიმატა შნო და ძალა;
სადაც შევალ, ყველგან მესმის: ბარაქალა, ბარაქალა!

და ლამაზი ბანოვანი, მიწის შვილი, ცის შვენება,
ვით თაფლს ბუზი, ქისას ჩემსას ეკვრება და ეტანება.
სახლებს ვაგებ, ძვირფას სახლებს, თამარ მეფის ჩუქურთმებით;
ზედ წავაწერ: ყოველივე ავაშენე ვირის ყბებით.
გუნდრუკს ვუკმევ ამ დროებას .. ან რამაც ეს მომაგონა.
მეც იუდას მემკვიდრე ვარ, ვერცხლისა და ოქროს მონა...

როკოკო.

პაროდიები და შარჟები

1. ნიმუში გ. პეტროვის წერილებისა—ბრძოლის პირიდან.

(„Русское слово"-ში)

რუსთა ჯარმა დაუტევა პოლონეთის საზღვარი. ნემცური პრესა უკვე ამზადებს საზოგადოებრივ აზრს, რათა დამშვიდებით შეხვდენ ვარშავის აღებას.

[illegible] დატყვევებული გერმანელნი, რომელნიც ვნახე—საზარელ სანახაობას წარმოადგენდენ. ერთი ტყვე-ოფიცერი კინაღამ გაგიჟდა. ტიროდა, იფიცებოდა და ხშირათ იმეორებდა:

— საძაგელი ვარ, საძაგელი!.. მოსაკლავი!..

მაგრამ მოწყალების დამ ეს ამბავი ექიმს გადასცა, ექიმი შეუდგა ტყვის დამშვიდებას:

— თავს ნუ იწუხებთ, ნუ აღელდებით; თქვენ არაფერი სიავე არ გიქნიათ და არავითარი საფრთხეც არ მოგელისთ.

— მით უარესი!—ღრიალებდა ტყვე—მომკალით ბარემ; მომკალით!

— დამშვიდდით: ჩვენში ტყვეებს არ ჰკლავენ.

— მე კი მსურს სიკვდილი! მე არ მინდა სიცოცხლე! მე საძაგელი ვარ!..

— რას ამბობთ—ამშვიდებდა ექიმი—ტყვეობა უბედურობაა, მაგრამ თქვენ ხომ სისაძაგლე განზრახ არ ჩაგიდენიათ.

— საქმე ისაა რომ ჩავიდინე.. —ამბობდა საწყალი ტყვე—მე მყავს საცოლე, რომელიც მიყვარს და, რომელსაც უყვარვარ... და მისი ბეჭედი, რომელიც ჩემს სიცოცხლეში არ უნდა დამეკარგა, არა მაქვს ახლა!..

— ვინ წაგართვათ?—თანაგრძნობით შეჰკითხა ექიმმა.

— არავინ... მე თვითონ მოვიხსენი და... მივეცი...

— ვის?.. რატომ?..

— დღეს დილით შევნიშნე, რომ თქვენს სალდათს პური ჰქონდა და იმას მივეცი—პურის ნაჭერში... ოთხი დღე იყო, რომ არაფერი მეჭამა და ველარ მოვითმინე.. საძაგელი როგორ არა ვარ, რომ ოთხ დღეს ვერ ავიტანე ტყვეობა?.. მხოლოდ ოთხი დღეა დამიჭირეს და უკვე სული პურის ნაჭერში გავყიდე!.. საძაგელი ვარ საძაგელი!.. უსულო და უგულო!..

2. ნიმუში მეცხრამეტე საუკუნის ინტელიგენტთა დღიურისა.

(ნაწყვეტი)

მე არ დამავიწყდება ეს დაუვიწყარი წამი.

მივდიოდი ვითომ ყანაში.. ირგვლივ გაზაფხულს გაეშალა ყვავილების კალთა და მხიარული ცა თითქო დედა მიწას დაჰხაროდა... ბედნიერებას... პირდებოდა...

— გამარჯობა კოწიავ! — მივაძახე ნაცნობ ხლეხს, რომელიც თავის კრიალა თოხით ფულიანად ებრძოდა მადლიან მიწას.

— არ ვიცი, შვილო, ვის ჰქვია ეგ სახელი — მომესმა წყნარად, ისე წყნარად, როგორც სიზმარი. ამ წყნარმა ხმამ აამოძრავა ჩემს გულში დაფარული ოცნება და მის ფრთებზე გადამფრინა იმ ხანაში, როცა სახელი ადამიანისათვის საჭირო არ იქნება.

— ან რა საჭიროა სახელი? — ვეკითხებოდი ჩემს თავს გატაცებული — განა ჭიანჭველებმა იციან ერთმანეთის ვინაობა, ან სახელი! განა ეს რასმე უშლის იმათ საზოგადო საქმის წარმოებაში?

„მე არ ვიცი შვილო ვის ჰქვია ეგ სახელი“ — ისმოდა ისე საიდუმლოთ, როგორც ნიავის ბგერა და მთელი ბუნება გაზაფხულისა ეხმატკბილებოდა ამ სიტყვის ნელ-ჰარმონიას.

გამომეღვიძა ნეტარებაში მყოფს. დილა იყო. „მშიან-მშიანო“, ყვიროდა ქარხანა და მისი ხმა ისე გაისმოდა, როგორც დემონის გამოძახილი.

ქალაქის გულში დუღდა სიკვდილი. მრავალ სართულიანი დარბაზები თავიანთ ფანჯრებით, როგორც ასმხრიანი დევის თავები გაუმაძღრობით აგზნებულ თვალებით, მადიანად გასცქეროდნენ შრომის ბაზარს.

ღრიალებდა ფართო ქუჩა, როგორც ვეებერთელა ხახა — გაუმაძღარი ხახა, რომელშიც მრავალი ათასი ჯანი და ღონე ისამარება, საჯოჯოხეთო წყევით და კრულვით.

— გამარჯობა მეგობარო — მივესალმე პირველ შეხვედრილს. მას ხმა არ გაუცია... ეუცხოვა... იმან თავისად ვერ სცნო ეს მიმართვა. მისთვის გაუგებარი გამხდარიყო სიტყვა „მეგობარი“. მას არ სცოდნოდა თავის სახელი!

მე შემზარდა ასეთი სანახაობა ადამიანის მგძნობიერების გაქვავებისა და აცრემლებული დავბრუნდი შინ. მე ვსტიროდი და მოვსთქვამდი:

— რატომ ადამიანი ჭიანჭველა არ არის, რომ განამტკიცოს ერთობა! ირგვლივ გაზაფხულის მაგიერად, შემოდგომის გაცრეცილი მზე იყურებოდა!..

3. ᲜᲘᲛᲣᲨᲘ ᲛᲔᲝᲪᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒ ᲜᲢᲗᲐ ᲓᲚᲘᲣ ᲘᲡᲐ

(ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ)

ვნახე დღეს, რომ პაწა მუშა
მიათრევდა ტვირთსა ქუჩად.
— მოდი, ვთქვი მე, — წავეხმარო,
ᲛᲘᲡᲐ გაუხდე ერთხელ მუშად...
იგრძნოს ბავშვმა, რომ ამ ქვეყნად
კვლავაც სუფევს სიყვარული,
და იმედით აუტოკდეს
გული ტანჯვით დაჩაგრული...
— მაგრამ თუ მან სისულელედ
ჩამომართვა გულში ესა?..
— ჩამომართვას!.. ოღონდ ვნახო,
რომ იმედი ჩაეკვესა...
ოღონდ ვნახო, რომ მას ყოფნა
შემდეგ ნაკლებ გაამწარებს —
(თუ გინდ მხოლოდ იმ იმედით,
რომ სულელებს მოიხმარებს...)
— მაგრამ თუ მან იმედები
სულელებზე დაამყარა,
ხომ გაირყვნა? ხომ დაეცა?
ხომ უმგზავსოს დაედარა?!..
...გამოვტყდები... ვერ მივმხვდარვარ...
მოვეხმარო მას თუ — არა?..

ᲗᲐᲠᲐᲨᲘ.

ᲕᲔᲓᲠᲔᲑᲐ ᲤᲝᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐ

უპრავავ ჩვენო! რომელი ხარ ფაზისის პირად!
თუ არ იაფად და მალი მალ ხანდისხან ძვირად
მაინც გვაღირსე ლუკმა პური მკვებავ-მარჩენი, —
თუ მცირეოდენ მაინც არის ხათრი გაქვს ჩვენი...
ოჰ, ვერ გავძეხით, რაცეს ომი გაჩნდა ჩვენს ჭირად
და გეფიცებით, რომ ვშიმშილობთ სულ ხშირად,
ხშირად...
ფქვილი არა გვაქვს... თეთრი ფქვილი აქედან მიაქვთ,
გვიშველეთ რამე, გულზე ხელი ნუ დაგიწყვიათ...
უპრავავ ჩვენო, ჩვენო უპრავავ:
აქედან ფქვილი სხვაგან ნუ წავა,
გთხოვთ-გევედრებით, ისმინეთ ჩვენი,
თორემ გავხდებით ცოდვების მჩენი...
დღეს რომ ქალაქში შავი პურია
ის ერთობ მყრალი, უგემურია,
გვატკინა კუჭი... არ ვარგა არა,
ტყვილად იხარჯვის იმაში ფარა...
იწამეთ ღმერთი, გამოიღვიძეთ
და თეთრი პური ჩვენაც გვაღირსეთ,

თორემ შიმშილით დავიხოცებით
და საწველ ფურათ არ გეყოლებით...
ნავთსადგურში რომ თეთრი ფქვილია
ნუთუ ის ჩვენთვის უცხო ხილია?..
ოჰ, გეველრებით არ დაიზაროთ...
და იგიც სხვაგან არ გააპაროთ!..

ბელაძე

ლეკეშები

(ბუტუნას საგენტო)

ფოთი. ბ-ნ მხიფავი, რომელსაც სასულიერო საქმეებთან ერთად სამოსწალოც მიენდო, გვატყობინებს, რომ ვაჟთა გიმნაზიის იმ ორი მასწავლებლის შესახებ, რომლებიც ინსპექტორებათ გადაყავდა სამოსწავლო მთავრობას დაბებში, ბ-ნ იაგულოვიზა „От зывы“ მოუთხოვიათ. უკანასკნელს უცნობებია სადაც ჯერი იყო, რომ: აღნიშნული მასწავლებლები ვერ არიან კეთილ სინდისერი მუშაკნი და პედაგოგნი „они за страхъ работаютъ“-ო. რის შემწეობით აღნიშნული მასწავლებლები არამც თუ გადაყვანა—აღმატებას მოესწრენ, პირველ ყოფილ მდგომარეობაშიც ძლივს დარჩენო. ბ-ნ მხიფავს ეკვი ეპარება ბ-ნ იაგულოვის გულრწფელობასა და ლოღიკაში, რადგან აღნიშნული მასწავლებლები თუ უვარგისნი არიან მისდამი რწმუნებულ გიმნაზიაში როგორ დააყენებდაო.

—

იქიდანვე. მამა **ქელენჯერიძეს** თავის „ეროვნულ“ მოწაფეთა ერთი ჯგუფი დაურწმუნებია ნაციონალურ გაკვეთილის დროს, რომ სოციალ-დემოკრატები „სამშობლოს მოღალატენი, ერის ორგულნი და ილიას მკვლელები“ არიანო. მოწაფეთა მეორე ჯგუფს სარწმუნოდ ვერ მიუღია მამა მელიტონის „რეფერატი“ და შეკითხვა მიუცია, რომ რა საბუთებით*) ამტკიცებდ სულიერი მამა თავის დებულებას. ამით განრისხებულ სულიერ მოძღვარს ფუტურისტული*) პასუხით დაუჯილდოებია „თანამედ. აზრით“ „ეშმაკის მათრახით“ და „всяки хламъ“-ით წარყვნილნი და მამა მელიტონის ურჩი მოწაფები. ბ-ნი მხიფავი აქაც იჭვს გამოსთქვამს: „ვაითუ წვეროსანი პედაგოგი მოწაფეებს მსოფლ-მხედველობით ზომავდეს და არა ნიჭითა და მეცადინობითო.?!“

ბ-ნი **თვალთმაქცი** რომელსაც დაეკისრა ადგილობრივ სპეკულიანტთა საქმეების ძიება იტყობინება: იმ ორგანიზაციას, რომელსაც ადგილობრივ ფქვილებით ვაპრობას ჩაუგდია ხელში. ლანჩხუთის კოოპერატივზა ამასწინეთ ერთი ვაგონი „რაზმოლი“ ხათრით 250 მანეთით მეტად მიუყიდია იმ ფასზე, რომელიც ამავე საქონელში გადაიხადა ადგილობრივმა კოოპერატივმა და ქალაქის თვითმართველობამ. მართალია, ორგანიზაციამ არ იცის კოოპერატივის წარმომადგენელმა საიდუმლოთ თუ გაიგო ეს ამბავი, მარა მოგების ნიჭით დაჯილდოვებულ კომერსანტებს უნდა სცოდნოდათ, რომ კოოპერატივები და მათი წარმომადგენლები ეშმაკის მოციქული ხალხია და არაფერი დამალებათ.

ამავე ორგანიზაციამ ამ დღეებში 5 ვაგონი ფქვილი კიდევ „უთავაზა“ კოოპერატივებს სამტრედიას, ლანჩხუთს, სუფსას და ორიც ჩოხატაურის რაიონს. ფქვილი თეთრი იყო ყიდვის დროს და ფასიც 6000 მანეთი ვაგონზე, მარა მიღების დროს ვაგონზე ერთი მეხუთედი „რაზმოლი აღმოჩნდა და ამას გარდა რაღაც მანქანებით ჩოხატაურის რაიონის ორი ვაგონი ფქვილი დაფასდა თითო 6200 მან. ხოლო ლანჩხუთის სუფსის და სამტრედიის კი—6000 მანეთად. ორგანიზაცია შეჰპირებია კოოპერატივის წარმომადგენლებს „შეცდომით“ გარეულ რაზმოლის საფასო ფულებს დაგიბრუნებთო. ვნახოთ...

*) მოვხუცდი. ლექციებზე დავბერდი და არ ად ლექტორისათვის საბუთები არ მოუთხოვიათ. ახირებულია ამ მხრივ ფოთის ახალგაზრდობა! სად გაგონილა საბუთი, მერე ლექტორისაგან, მერმე ლექტორი მღვდლისაგან და მერმე ისიც ლექტორი მღვდლის კელენჯერიძისაგან! ეშმაკი.

(გადმოდებულია)

უბედურება



— როგორა ხარ, მეგობარო?

— ცუდათ, ძლიერ ცუდათ.

— რა მოხდა, უბედურება ხომ არაფერი გეწია?

— განა ამაზე მეტი უბედურება შეიძლება? მიუხედავათ აშკარა დანაშაულისა მაინც გაზამართლეს მსაჯულებმა. ეს-ეს არის ციხიდან გამოვიგდეს და რა წყალში ჩავარდე აღარ ვიცი.

საგულისხმიერო სიტყვები



ფ. გოგიჩაიშვილი ბ-ნებო! ყოველი პატიოსანი მოხელე სამსახურში თავის მოვალეობათა აღსრულების დროს ამ მადლიანი ცხოველის მაგალითით და მიბაძულობით უნდა ხელმძღვანელობდეს.

საამდროვო სტუდენტური სიმღერა

შაქარო, ჩემო შაქარო,
შენ სიტკბოს ვენაცვალები,
„ვინც შენი გემო არ იცის,
დახუჭული აქვს თვალები“!

—

დედას მოვსცილდი, სამშობლოც
დავგდე—არ მიტირია,
მაგრამ უშენოთ ისეთი
დამადგა გასაჭირია,
რომ დღე და ღამე ცრემლებს ვღვრი,
ნერწყვით მევსება პირია,—
(ვისგანც შენ აგრე ტყვე ქმნილხარ,
ყელში ჩაესხას კირია)!
შენა ხარ ჩემი ნუგეში,
მზე—ნესტან—დარეჯანია...

არც მე ვარ სუსტი ტარიელ—
შემწევს ღონე და ჯანია...
მათრახის ნაცვლათ მე ხელში
დამაქვს „კარტოჩკა“ ძლიერი,
გაშმაგებითა დავდივარ
დუქნიდან დუქნათ მშიერი;
მაგრამ მე შენს კვალს, ვაიმე,
ვერსად წავაწყდი, მზიანო,
და იმედ მიხდილს ცრემლები
ღაპა-ღუპითა მდიანო!

—

შაქარო, ჩემო შაქარო,
შენ სიტკბოს ვენაცვალები,
„ვინც შენი გემო არ იცის,
დახუჭული აქვს თვალები“!

d.

ერთი დღიურიდან

(გაგრძელება)

26 იანვარი

დღეს თეატრის კარებთან,
შეჯგუფებულ ქალებთან,
მიველ აჩქარებული,
გრძნობა გამწარებული
და ვიკითხე მე ქალი
(ალბათ იყო ნასწავლი)
ვინაც გუშინ მომწერა
(სჩანს გავხთი მისი წერა),
მარა არვინ იცოდა,
ან კი ვინ რას იტყოდა.
ქალი ქალის მტერია
(ეს სიბრძნეში სწერია)
და ამითი ავხსენი
ვარი ქალთა ნაძღვენი.
გამოვშორდი ამ ჯგუფსა,
წაველ აჩქარებული,
წინ შამომხვდა ბულვართან
მღვდელთა მთელი კრებული.
თამრო ვკითხე მათგან ერთს
(მოუსპია იგი ღმერთს)
იქნებ ნათვლის წიგნებში
ნახა ქალი ამ გვარი,
უქმროთ ობლათ დამწვარი,
მარა მამა განრისხდა
(ეს რა ხათა გამიჩნდა)
და მლოცველი მე ბერი,
გამაჩერა ვით შტერი.
ისევ გავკარ, გავქუსლე,
გავაქანე მერანი,
ისიდორეს სადგომთან
შევდექ ვითა ჯერანი.
აქ მეგონა მეტყოდენ
თამროს იმა წყეულსა
და გულს მისგან ტყვეულსა
მოეშვრდა დარდები
და მის ნაცვლად ვარდები,
ვით ყვავილთა ქარგები,
მოყვებოდენ ჩემ გულსა
მომიკლავდენ მით წყლულსა.
ხან თეატრი, ხან ქუჩა
ისიდორე და ბუკა,
გამვლელი, გამომვლელი,
ნაცნობი ახალ—ძველი
არ დავტოვე უხმოდა.
ცდა დამირჩა უქმადა.

—

27 იანვარი.

დღეს მე ბედნიერება,
(თუ ეს დამეჯერება)
მოვიპოვე ამ ქვყნათ,
(ნუ ჩამითვლით მას კვეხნათ)
რადგან თამრო ვიხილე
და ისეთი ვიკიკლე,
რომ ბედშავი გოგონა
(მას პოეზდი ეგონა)
გული შეუფართქალდა,
დასავარდნათ დაქანდა,
მარა ხელი მოვხვიე,
ავაცდინე სირცხვილსა
და შეშვენის ვით წყვილსა,
გავუყევით ქუჩასა.
მე ვისწავლე სად იდგა,
მოწყენის დროს სად იჯდა,
რომ სტუმრობა დამეწყო
მით სიმშვიდეც დამეტყო.

—

28 იანვარი

თამროს ნუცა მოემატა,
ოთხი სხვებიც დაემატა,
მარუსიაც გავიცანი,
დამემდურენ ვინი, განი
(მათ გავარდა სული, ჯანი),
ბევრს კიდევ ყავს ქმარი ჯანი.
თუ არ გამძვრა ამის კანი,
მალე სახელს მოვიხვეჭავ
და ბორკილებს გავიღეჭავ
მაშინ მოდით საქმით ხელში
(სხვებს მოუსობ საჭით წელში)
და გაგიყვანთ ფართო ველში.

დღიური იპოვა და შეასწორა

ხუნამმა.

(შემდეგი იქნება)

ცხრაას ხუთი გამახსენდა

(გურიიის ცხოვრებიდან).

— მასთეც არ იქნება, ამხანაგო, შენ რომ ამბოფ. შენ პაწაი ჩვენზედაც უნდა იფიქრო. რავა მაი სახუმბრო საქმე ggონია თუ?.

მომესმა, როდესაც, მთელი დღის ყანაში მუშაობის შემდეგ, დამწვარი ეწერის სოფლის გზას ვათავებდი. საიდგანაც ხმა მოდიოდა იქით მივიხედე და უმთვარო ღამეში ძლივს გავარჩიე ასე ერთი არშინის სიმაღლე ჯირკებზე გზის ჰირას წამოდგმული. სამი გვერდით გვარიანი ფართო უმესრო ბალკონ შემორტყმული, ხის პატარა ოდა. ხმა ნაცნობათ მეჩვენა და მასთან, ლაპარაკის კილოც ისეთი ცნობის მოყვარეობის აღმძვრელი, რომ დაღლილობის და სიმშილის მიუხედავათ, ოდაში შევედი. შესვლისთანავე ათიოდ ხმა მომესმა:

— მობრძანდი, მობრძანდი, ამხანაგო; სტორეთ კაი დროზე მოდი!

ოთახში პატარა სანათი, ანუ როგორც აქ ეძახიან სანაფთიე ენთო და ძალზე ბოლავდა. პირველ შესვლაზე ისე მეჩვენა, თითქო სიბნელიდან უარეს უფსკრულში გავჩნდი იმ განსხვავებით, რომ საიდანღაც ამ ოთახის დასათვალიერებლათ მორცხვი სხივი შემოპარულა, სახლის პატრონი შემოსწრებია და რაკი გარეთ ველარ გაუსწრია დარცხვენილი და გულშეწუხებული ოთახში მყოფ ჯირკებს ამოფარებიაო.

ბნელს თვალი ჩქარა შეეჩვია და შემდეგი სურათი წარმომიდგა: კუთხეში ბუხართან სამფეხა დაბალ სკამზე, კარგა ხანშესული ლევანაი ათის თავი ხის. ხთთი, თუ ექვსი სისხლითა და ხორცით სავსე ვაჟკაციც იქვე სდგას და როგორც ამათ, ისე ოთახში გამსტვენ ლოგინზე ჩამომსხდარ ხუთმეტიოდ სხვა და სხვა ხნისა და შეძლების სოფლელთა ყურადღებას გიგოიეი ყურდგელაძის ნაწყვეტ-ნაწყვეტი აღელვებული ლაპარაკი და მისი ხელის ქნევა იპყრობს.

ისევ იმ ლევანა ათის თავმა მითხრა:

— ამ გიგოიეი ყურდგელაძის ცოლის დაი, ამხანაგო კაი ხანია ყრუალა სოფლის მცხოვრების, მასიკო გულჩახოვილაძის საცოლეთ ითვლება. ნახარჯიც აქვს თურმე: ხან საკაბეს და ხან სარუბაშკეს უგზავნიდა რავარც ციცას, ისეთ სასიდედროსაც. ციცაი ახლა დამოწიფულდა და კაი ლამაზი ციცაიცაა. ამ გიგოიამ რამდენჯერმე ჩვენ სოფელშიც კი მეიყვანა. მასიკოს იქვი დაებადა და დედამამას კაცი მიუგზავნა ციცაი აწი მომეციო. ღედ მამამ დღეს, ხვალ, ამ თვეში, იმ თვეში და საშველი აღარ დააყენა. მართალი გითხრა მეც კი გევიმონე ვითამ გიგოიას ვინცხა კაი სკვინჩილაი ხარაგიზა მისაცემათ მიჰყავსო. ვინ იცის ეგება გულჩახოვილაძესაც ქე მიუტანეს აგი ამბავი და დღეს დილას რომ მოდიოდნენ დახვედრია, ამხანაგო, ტყის ბოლოში, უსვრია და რაც გიგოიამ სთქვა ქე გეიგონე. ახლა მომეციო თოფი და მაგიორს უზამო. მაგის დროია ახლა? რავა შენ არ იცი გიგოიავ რომ ახლა ცხრაას ხუთია?

— რას მიშველის მე ცხრაას სუთი და თუ გინდა ოთხი ათას ხუთი! მე მკვდარი ვარ!.. შერცხვენილი!, მკვდარი!..

— ამ საქმეს რამე სხვა გზით უნდა შემოუაროთ, ჩემო გიგო, უთხარი მე. მართალია ნამეტარი გლახა საქმე მოგსვლია, ამხანაგო, მარა თუ ყველაფერი ეს მართალია, რაც მე აქ გევიგონე მთლათ მართალი არც შენ ყოფილხარ. რასაკვირველია იმას არ ჰქონდა უფლება თოფით ხელში ასე მხეცურათ მოქცევის და დიდი დანაშაულობაც ჩაუდენია, მარა ვსთქვათ ახლა მოგეციოთ თოფიც, კაცებიც; მიუხდით თქვენ იმ ბიჭს. რავაც შენ გეყავს ამხანაგები ისე ყავს მასაც. შეიქნება ერთმანეთში მტრობა, დაცემა, კვლაი. სოფელი სოფელს გადაემტერება. ამას ისევ ეს აჯობებს: ჩვენ გაუგზავნოთ კაცი იმის სოფლის ათის თავებს. დამერწმუნე შენ იმდენს ვერ დასჯი შენი ყაძახობით იმას რამდენსაც მისი სოფელი დასჯის და შეარცხვენს.

— ამას ვეუბნებით, ამხანაგო, ჩვენც,—მითხრა რამოდენიმე ხმამ ერთად,—სიქმე არ იყო ფრჩხილისისხო,—სთქვა ლევანამ,—და ახლა აპარის მთებზე უფრო მაღალია. მის სოფელშიც კაცებია. შეხედავენ საქმეს და თუ აფერს იქმენ რავა დროი იკარგება თუ?..

ლევანას რიღაცის თქმა კიდევ უნდოდა, გიგოიეიც ის იყო თითქმის ამდენი ლაპარაკით რყევაში იყო მოეცადა მასიკოს სოფლის ათის თავების გადაწყვეტილებისათვის თუ კიდევ თოფი და ამხანაგები ეთხოვა, რომ ოთახში ჩაქურაში გამოწყობილი, შუა ტანის, კარგად ჩასკვნილი ოცდა ოთხი—ოცდა ხუთი წლის მელქისაი გუუტეხელიძე შამოვარდა:

— რავა აგენს უყურებ გიგოიავ?—და რომ შეატყო გიგოიეი რყევაშიაო, ერთი ოთახში მყოფთ ზიზღით გადმოგვიყრიალა თვალები და საშინლად გაცეცხლებულმა დაცინვით მოგვახალა:

— „ხო და აბა დაახურეთ მაგ თქვენ გიგოიას თავზე ბუდე და ქე"გყავდენ მაქანაიო", -ჰკრა კარს ხელი და გარეთ გავარდა.

ადვილი წარმოსადგენია რა გუნებაზე დადგებოდა გიგოიეი. სწორეთ მამლის მესამე ყივილზე ძლივს ავაღებინეთ ხელი მაგიორის გადახთაზე.

დასასრულ: მასიკოს ეყოფა საშუშებლათ იმისთანაი მძიმე სასჯელი მიუსაჯა მისმა ხოფელმაო ამბობდნენ.

— ჰო და შენ რომ მეკითხებოდი რა გაცინებსო ის მაცინებს ჩემო სირმაიავ, რომ ცხრაას ხუთი გამახსენდა.

დია.

მკვეხარა

(ხალხური)

I

ერთ გლეხს ჩვეულობათ ჰქონდა
თოფის სროლა წარა-მარა.
ერთხელ „სავარჯიშო" ადგილს
თვისი ცოლიც დაიბარა...
უთხრა: ჩემო მშვენიერო
რა გახარო, გამიგონე,
ამ ბოლო დროს საკვირველი
ხერხი რამე მოვიგონე...
და მით მსურს, რომ დავამტკიცო
სროლის ნიჭი შესამჩნევი...
მაშ ეს კვერცხი გამომართვი
სწორად თავზე დაიდევი
და გაჩერდი. მე თოფს გესვრი,
არას გაწყენ დაიჯერე,
მე მხოლოთ კვერცხს დავუმიზნებ.
აბა!.. სწოათ გააჩერე!..
და... ესროლა ქმარმა თოფი...
მართლაც კვერცხი ააცალა,
და უსაზღვრო შვების ნიშნათ
თვითვე იძღვნა—„ბარაქალა"...
ცოლსაც უთხრა:—ხომ კი ხედავ
სიყოჩაღით არ მყავს ტოლი,
აშკარაა მეკადრება
შენზე უკეთესი ცოლი...
მეუღლე—კი შიშისაგან
სულ წასული ქვითინებდა,
და თვის დედას შეჩიოდა,
მფარველობას ავედრებდა.
დედამ უთხრა:—ნუ გაქვს ფიქრი
ხერხს გასწავლი სასახელოს.
თუ კვლავ ქმარი არ დაგეხსნას
კვეხნას მოყვეს უსაშველოს,—
ასე უთხარ: ჩემო კარგო,
რათ არ იცი აზრი ბრძნული,
რომ აროდეს არ ილევა
კაცი, კაცზე ვარგებული?
შენ აქ კვეხნით ყურს მიქექავ
და მეც ვიტყვი შენ კვეხნაზე,
რომ მრავალი შენი მჯობნი
სხვა არსებობს ქვეყანაზე!..

II

ერთხელ ქმარი საქმის გამო
სხვა სოფლისკენ გაემგზავრა.
უცაბედათ გზაში ვიღაც
მიმავალ ქალს შეეყარა.
ხელში იმ ქალს კოკა ჰქონდა
წყაროს წყლითა ავსებული.
მგზავრმა უთხრა:—მშვენიერო,
წყურვილისგან მიწუხს გული...
ჰქენი მადლი, მასვი წყალი,
ნამგზავრი ვარ, დაღალული...

უპასუხა:—ჩემო კარგო,
გატყობ არ ხარ ჭკუა სრული,
ვაჟკაცი ქალს მეუბნები
უზრუნველათ გასვა წყალი,
როცა წყარო ე, მანდვეა
იქვე ახლო მიმავალი!..
შეუტია:—მასვი თორემ
დღეს დაგატეხ საშინელსა,
ემაგ კოკებს სულ დაგიმტვრევ,
დაგტოვებ ხელ ცარიელსა!..
რა ისმინა კვეხნა ქალმა
მყის წაავლო იმ ვაჟს ხელი,
ამოიდვა მკლავში მარდათ...
გზას გაუდგა უზრუნველი ..
რა მივდია თავის სახლში
ხელთ აიღო თოკი გრძელი,
და გაბაწრა ის მკვეხარა
შეუკოჭა ხელ-ფეხ-წელი...
და მიაგდო იქვე კუთხეს
თვით შეუდგა ოჯახობას.
როს შეღამდა მამამთილი
მორჩა დღიურ მუშაობას—
სახლში ნახა ვიღაც ვაჟი
გდია ობლად, გაბაწრული...
და იძახის: მომეხმარეთ!
კვნესის ცრემლებ—მორეული...
ეგ ვინ არის, საცოდავი
რისთვის სტირის, ან რა უნდა,
ვინ გაბაწრა მიპასუხე?
მამა რძალსა მიუბრუნდა...
—უპასუხა: „მამამთილო
ეს თავხედი და მკვეხარა,
წყაროსთვის რო გიახელი
მაშინ გზაში შემეყარა...
წინ აღმიდგა და მუქარით
ჩემგან წყალი მოითხოვა,
და სანამდის არ გავბაწრე
მანამდის არ დამეთხოვა...
უზრდელია მეტის მეტი
გულ-დიდი და მეტიჩარა...
კოკაც ლამის დამიმტვრია
შემაწუხა, გამამწარა“...
სიტყვა რძლისგან ნაუბარი
მამამთილმა რა ისმინა,
გამოლანძღა იგი ვაჟი
დასძრახა და შეარცხვინა...
ვაჟმა ჰკადრა: „—გვიანღაა
ბოდიში და სინანული,
მაგრამ გეეედრები
დამნაშავე, სირცხვილ ქმული...
რომ გამიშვათ, გაპატიოთ
და სიტყვას ვსდებ შეურყეველს,
რომ აროდეს არ ჩავიდენ
აწ საქციელს შემარცხვენელს!..“

III

შეიბრალეს და გაუშვეს
თანაც უთხრეს: გახსოვდეს ეს,
მოკლე ფეხი აბადია
მეტიჩრობას და სიცრუეს...

ხ. ვარდოშვილი

ინტერნაციონალური აღებ-მიცემობა

(ვუძღვნი მთავარ სახელოსნოს მუუათა ერთ ჯგუფს)

სედრაქა. იმ ყურმსაღ ნიკოლოზას კარტის თამაში რო უთხრა, აქედან თავის კორტოხში ფეხით ჩავა და აქ კი არ მოდის.

ვასუა. ისა ვეჩერ მუშაობს და მაიტერი არ გაუშვებდა.

ვანუა-ოსი. მასტერი არც მე გისობდა, სენი წირიმე, მაგრამა სვილი მოგიკტა, უნდა დაგმარხო მეთქი გითხარი და გაგისვა.

სიმონა. აპა რავა?! რაკი დევიბარეთ ი თა-თარი აქანე, ყველანი აბიზატილნათ უნდა დაუხვ-თეთ და მოურიგდეთ, რომ როცა მივიღებთ „შაქარს“ პრიიმათ მიუტანოთ მას, გირვანქა სამ-სამ მანათათ. თუ არა-და, ყიდეთ აქანე გირვანქა მანათ ნახევ-რათ და რაცხა ხეირი გექნებათ აგერ დევინახავ.

სედრაქა. ჩემმა მზემ ამას წინეთ ოც გირ-ვანქა შაქარში სამი ვედრა ღვინო ავიღე. ჩამოვი-ტანე და კვარტი ოთხ-ოთხ მანეთად დავყიდე. მე შენ გითხრა პატენტი გინდა, სულ სახლში გავაპ-რადალე. (შემოდის ნიკოლოზა).

ვასუა. აგრა ნიკოლოზა!

სედრაქა. შე ფაფის ჭამია, ვირის თავო, სად დაიკარქე აქამამდე, ა!

ნიკოლოზა. აგერ ვიყავი ბოშო ბაზარში (სიცილით) ახალი კარტი ვიყიდე.

სედრაკა. მე არა ვსთქვი! კარტის წურბელაა რაღა!

ნიკოლოზა. იმე! სტუმარი კაცი მოვა აქანე და ერთი ხუთი მანეთი თუ არ დავაძვრე ხომ შევრცხვი კაცი?! (გარედან ხმა მოისმის).

სედრაკა. ის არის, ის (საჩქაროთ გავა და შეშოუძღვება მამედას).

მამედა. გამარჯუბა ყულას.

ყველანი. გაგიმარჯოთ!

მამედა. ზღვები არარია?

სედრაკა. როგორ არა, ყველას უთხარი, მხოლოდ იოსები, სანდრო გიორგი, ამბაკო, სიკო, მიხაკო, დათიკომა და გეურქამა სთქვეს, უჟე მორიგებული ვართ და ჩვენი მოსვლა საჭირო აღარ არისო.

მამედა. ვიზნობ? ჟემთან ყულამ მოიდანია თუჟი ორი გირვანქა. (სიმონას) შენ რამდენი მოიდანოს?

სიმონა. ოც და ათ გირვანქას ბ-ნო! ამოვუდებ კანტორჩიკს მანათიანს, ევიღებ პერვოი ოჩირიდში პროვიზიონი ბილეთს და სულ ბრიგინით ჩამუალ თქვენ დალიარში.

ვასუა. მე შენი ჭირიმე თორმეტი სული მყავს. თითოს ორ გირვანქა ნახევარს გვაძლევენ, ყველას შენ მოგიტან: რათ მინდა?! ჩაი კი არა მახოხი და ღოლოს საჭამადი თუ ვიშოვე დიდ პასიბას გეტყვი.

ვანო-ოსი. მე სენი წირიმე ახალ დამდგარი ხარ და პროვეზია ბელეთი არ მოქცა მასტერმა თუ ცვენი სიდრაქა წაგიღებს ცვიდმეტ გირვანქა გამოგიგზანოს სენი წირიმე.

სედრაკა. შენ ოლონდ ჭაიტა და თუ გინდა, ცელი სასტავი წავიღო! (ნიკოლოზა მალვით კარტს აწყობს, სედრაქა შეამჩნევს და ყვირილით,) რას ჩამოგიკიდია ეგ საოხრე თავი? უთხარი ჩაუტან თუ არა?

ნიკოლოზა. იმე! ორმოცი და ათი გირვანქა ბ-ნო გამიწყრა ღმერთი აქამდი არ ვიცოდი და წყალში გადავყარე ქვეყნის შაქარი. წარმეიდგინე ბ-ნო მიმქონდა ავალიანის ტრახტირში და კარტში ვანიავებდი ყველას...

მამედა. ზალიან გარგი! ჟემთან მოიტანოს. ნაღდ ფულ ,,დორთ'' მანათ მოგზეს, ღუნო მოგზეს, თევზუ მოგზეს და დუქვენ აქ გაყიდოს. (წამოდგება) აბა მე ზავიდეს, მშუდობით.

ნიკოლოზა. ერთი ჩავაჩერეზოთ... (სედრაკა ყელში წაუჭერს და კუთხეში წააქცევს, ყველანი გადიან).

ძამია.

წერილი რედაქციას.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვ თქვენი ჟურნალის საშვალებით მომცეთ საშუალება გამოვიწვიო სამედიატორო სასამართლოში თქვენი კორესპოდენტი, რომელიც მათრახის" №№ დაუმსახურებლად ილაშქრებს ჩემს წინააღმდეგ და შეცდომაშიდ შეყავს პატივცემული რედაქცია „ეშმაკის მათრახის", რომელიც უნდა ემსახურებოდეს, ჩემის აზრით, სიმართლეს და ამხელდეს მხოლოდ და მხოლოდ ბოროტებას.

ხონელი კორესპოდენტის გამოლაშქრება ჩემს წინააღმდეგ შეიცავს შემდეგს: როგორც მოგეხსენებათ ხონშიდ არსებობს კოპერატიული ამხანაგობა, დაფუძნებული დემოკრატიის ინტერესების სამსახუროდ. ამ კოპერატივს გაუჩნდა ჭიაღუები, რომელთა მოღვაწეობამ დიდი ზიანი მიაყენა საზოგადოებას, მე ვამხილე ეს ჭიაღუები და აი სწორეთ ამ მხილებისთვის გადამეკიდა ხონის მათრახის კორესპოდენტი, რომელიც ჩემი და თვით საზოგადოების აზრითაც ერთი იმ ჭიაღუთაგანია, რომლის გაუდენლობა კოპერატივიდან საზოგადოებას უქადდა მოსპობას *).

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგს: 1914-ს თუ 15-ს წ-ს ერთ-ერთ №-ში ს. ლიხაურიდან (გურია) ლექსი იყო მოთავსებული „ნანას" ფსევდონიმით თქვენს პატივცემულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახში" სხვათა შორის დიმიტრი მას-

*) ეს წერილი უცვლელათ იბეჭდება. ავტორის ვინაობა ჩვენმა რედაქციამ იცის, მაგრამ ვინაიდან წერილზე არ იყო აღნიშნული, ცხადია საიდუმლოთ უნდა დარჩეს.

წავლებელსაც შევეხე. როგორც გამოირკვა ბ. დიმიტრი შარაშანიძე არ არის ისეთი კაცი როგორაც მოხსენებული მყავდა, ეს მომივიდა შეცდომით, მე დანაშაულათ ვრაცხ თავს, და ბოდიშს ვიხთი ბ. დიმიტრისთან, რედაქციასთან, და თქვენი პატივცემული „ეშმაკის მათრახის“ ნკითხველ საზოგადოებასთან.

პატივისცემით **ნანა.**

მისაგაძი მაგალითები*

ქ-ნმა ნატაშა ჟღენტმა ს. ბასილეთის უფასო სამკითხველოს თავისი საყვარელი შვილი ჭიჭიკოს ხსოვნის აღსანიშნავათ ჩვენი ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“ გაუწერა.

ბ. ევგენი გვარჯალაძემ. საყვარელი დედის ნინო გვარჯალაძის პატივსაცემლათ „ეშმაკის მათრახი“ მებრძოლ ჯარის კაცებს გაუწერა.

*) წერილი ბ-ნი ეშმაკისა **„მისაგაძი მაგალითი“** სხვა დროსთვის გადაიდო.

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —
6 თვით 4 მ. — კ.
3 თვით 2 მ. — კ.
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ე შ მ ა კ ი,

ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6 поч. ящ. № 96.

ორი თეგერვლის ფუტურისტული საღამო



ფუტურისტული კარიკატურა

წითელი ხარი საყანწე რქებით
ვადიდოთ ქებით, ვადიდოთ ქებით!
მზეი ორსული, მზე შობიარე,
დაგვყურებს მაღლით პირ მოკინარე. და სხვ. და სხვ.

რედაქტორი თ. ბოლქვაძე ნებადართულია საშს. ცენზორისაგან. სტამბა ვ. ჩუხუაძისა, გაბაეგის შესახვ., № 1